

შპს „აისბერგი-9“-ს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „აისბერგი-9“			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	469294	238015	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	557799	317058	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	129098	1464232	3.3
მარაგები	8125015	4488195	3.4
მზა პროდუქცია	7858893	4386600	
სხვა	266122	101595	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	331622	904	3.5
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	10923236	3270277	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	20536064	9778681	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	8546911	3848977	3.7
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	0	128279	
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	341941	769340	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8461426	3791630	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	17350278	8538226	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1873260	0	
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1312526	1240455	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	3185786	1240455	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20536064	9778681	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი _____	ნათია მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „აისბერგი-9“			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		მენიშვნა
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022	
ნეტო ამონაგები	35816188	16948611	3.9
საქონლის გაყიდვიდან	35816188	16680626	
მომსახურების გაწევიდან	0	267985	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-29212534	-14041997	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადაშუაების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	6603654	2906614	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	38242	8799	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2870241	-937588	
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-763923	-182235	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	-393139	-154925	3.10
იჯარის ხარჯი	-1436088	-653868	3.11
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1589214	-833146	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	-7014363	-2752963	
საოპერაციო მოგება	-410709	153651	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახ	-225976	518667	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-636685	672318	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-636685	672318	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვ	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფ	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-636685	672318	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1240455	1153374	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შედ	1873260	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	708756	-585237	3.13
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3185786	1240455	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი _____	ნათია მახარაძე		
თანხმებული განმარტებითი მენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „აისბერგი-9“			
ფულადი სახსრების მოძრაობა			
	ერთეული: 1 GEL		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული	-5250727	-342599	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებუ	0	-1596472	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმ	5513338	1922089	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	262611	-16982	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-31332	0	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	238015	254997	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	469294	238015	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორი _____	ნათია მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აისბერგი-9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2010 წლის 25 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445384682, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, №73ა, ბ. N4. ფაქტობრივი მისამართი, სადაც განთავსებულია კომპანიის მენეჯმენტი, არის საქართველო, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის 93. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ რაულ სურმანიძე (პ/ნ 61002009289).

1.3. კომპანიის დირექტორები არიან: ფ/პ რაულ სურმანიძე (პ/ნ 61002009289) - გენერალური დირექტორი (ერთპიროვნული) და ფ/პ ნათია მახარაძე (პ/ნ 61004037294) - გენერალური დირექტორი (ერთპიროვნული).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით; ასევე, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ანხორციელებს რამდენიმე ლოკაციაზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია თავის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას ანხორციელებდა ქ.ბათუმში არსებულ 25 ლოკაციაზე.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 210 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე 2022 წლის 16 ივლისიდან აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ)

მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 8-12 წელი;

ინვენტარი - 8-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6287 ლარი; 1 EUR=2.8436 ლარი;

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები**3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:**

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	314498	161141
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	154796	76874
სულ:	469294	238015

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირებისაგან	557799	317058
სულ:	557799	317058

კომპანიას გარდა საცალო გაყიდვებისა, ასევე ჰყავს სავაჭრო პარტნიორი იურიდიული პირები (დებიტორები), რომლებსაც საქონელს აწვდის კონსიგნაციით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული დებიტორული მოთხოვნა ფაქტობრივად

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შედგება აღნიშნული იურიდიული პირების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებისაგან.

3.3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	129098	1464232
სულ:	129098	1464232

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ავანსად აქვს გადარიცხული მიწის ნაკვეთის შეძენის საფასური.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო საქონელი	7858893	4386600
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	266122	101595
სულ:	8125015	4488195

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება კომპანიის 25 ობიექტის სახარჯი მასალებისაგან, როგორიცაა: ობიექტების დასუფთავების და დალაგების საშუალებები, საკანცელარიო და სხვა სახარჯი მასალებისაგან.

3.5. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები ფაქტობრივად შედგება:

- კომპანიის საგადასახადო ზედმეტობიდან რომელიც ფიქსირდება შემოსავლების სამსახურის რს-ის პირად გვერდზე არსებულ შედარების აქტში 31.12.2023-ის მდგომარეობით;

- ასევე, დღგ-ის იმ ჩასათვლელი თანხებისაგან რომელთა შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებიც არ ჰქონდა კომპანიას მიღებული საანგარიშო პერიოდში. წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის კომპანიას ჩათვლილი აქვს აღნიშნული დღგ-ის თანხები;

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- კომპანიის მიერ წარდგენილი 2023 წლის დეკემბრის თვის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან და 2023 წლის ქონების გადასახადისაგან (საღირებულებად).

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	4741164	4741164	0	0
შენობები	1018067	-167899	28051	1214017
მანქანები	503226	426075	28739	105890
მანქანა-დანადგარები	789714	736670	238929	291973
ელექტრომრავლები და დიზელ-გენერატორები	79600	58127	8748	30221
ელექტროგადამცემის საშუალებები	21923	24657	2734	0
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	25805	9429	5723	22099
ოფისის აღჭურვილობა	62684	39566	12037	35155
კომპიუტერული ტექნიკა	467712	319819	51108	199001
ავიჯი და სხვა ინვენტარი	82006	94174	14493	2325
ინვენტარი	1746981	1291742	343066	798305
სარეკლამო საშუალებები	172422	148050	26458	50830
სხვა ავტოტრანსპორტი	1575	1800	225	0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	23400	23400	0	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1186959	670107	3612	520464
სულ:	10923236	8416881	763923	3270278

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი პირების მიმართ	8546911	3848977
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	8546911	3848977

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება რეზიდენტი პირებისადმი საოპერაციო (სავაჭრო) საქმიანობიდან წარმოქმნილი დავალიანებებისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.8. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიის გრძელვადიანი სესხები, როგორც აშშ დოლარში, ასევე ევროში, სრულად შედგება სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები:

2023 წლის ამონაგები ფაქტობრივად მთლიანად შედგება კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობიდან (საცალო ვაჭრობიდან) მიღებული შემოსავლებისაგან.

3.10. საპროცენტო ხარჯები:

2023 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები ფაქტობრივად სრულად შედგებოდა სს „თიბისი ბანკისაგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.11. საიჯარო ხარჯი:

კომპანიას ფაქტობრივად ყველა ობიექტი აღებული აქვს იჯარით, შესაბამისად გააჩნია საიჯარო ხარჯები.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
ბონუს-ქულების ხარჯი	0	59.32
მარკეტინგული ხარჯები	44893.03	27811.46
კომუნალური გადასახადი	734508.3	298502.34
კომუნიკაციის ხარჯი	22470.19	10066.73
დაზღვევის ხარჯი	6303.01	2696.83
სარემონტო ხარჯი	42031.54	65640.79
ა/მ საექსპლუატაციო ხარჯი	24240.81	16552.4
საწვავი	91993.25	42833.21
საექსპლუატაციო ხარჯი გარდა ა/ვ	382.65	1495.77
სარეკლამო ხარჯი	16034.1	32404.69
სამეურნეო ხარჯი	63661.33	44145.88
საკანცელარიო ხარჯი	115037.01	87380.49
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	57344.06	27376.29
დაცვის მომსახურება	9541.76	1101.7
საგადასახადო ხარჯები	46674	25627
ბანკის მომსახურება	266583.7	113292.15
კონვერტაციის ხარჯები	22318.5	17514.46
სხვა ხარჯები	25196.41	15996.74
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0	817.78
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	0	140
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	0	1689.52
	1589214	833146

3.13. კაპიტალის სხვა ცვლილებები:

კომპანიამ გაასწორა 2022 წელს აღრიცხვაში დაშვებული მექანიკური შეცდომა - მცდარი სავალუტო კურსით (სხვა ვალუტის კურსით) გადაფასებით გამოწვეული შეცდომა და მექანიკურად გაორებული ხარჯები აღრიცხვაში.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „აისბერგი-9“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL შენიშვნა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	469294	238015	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	557799	317058	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	129098	1464232	3.3
მარაგები	8125015	4488195	3.4
მზა პროდუქცია	7858893	4386600	
სხვა	266122	101595	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	331622	904	3.5
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	0	0	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	10923236	3270277	3.6
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	20536064	9778681	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	8546911	3848977	3.7
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	0	128279	
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	341941	769340	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8461426	3791630	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	17350278	8538226	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1873260	0	
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1312526	1240455	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	3185786	1240455	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20536064	9778681	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი

ნათია მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



შპს „აისბერგი-9“

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL შენიშვნა

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	35816188	16948611
საქონლის გაყიდვიდან	35816188	16680626
მომსახურების გაწევიდან	0	267985
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	-29212534	-14041997
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6603654	2906614
სხვა საოპერაციო შემოსავალი	38242	8799
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2870241	-937588
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-763923	-182235
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-393139	-154925
იჯარის ხარჯი	-1436088	-653868
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1589214	-833146
სულ საოპერაციო ხარჯები	-7014363	-2752963
საოპერაციო მოგება	-410709	153651
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გა	-225976	518667
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-636685	672318
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-636685	672318
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რე	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-636685	672318
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1240455	1153374
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კომპერტივის შემთხვევაში	1873260	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	708756	-585237
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3185786	1240455

3.9

3.10

3.11

3.12

3.13

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი გამოსამყვერებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი

ნათია მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



შპს „აისბერგი-9“

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		ერთეული: 1 GEL	
		31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება		-5250727	-342599
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება		0	-1596472
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება		5513338	1922089
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		262611	-16982
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-31332	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		238015	254997
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		469294	238015

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი

Handwritten signature

ნათია მახარაძე

თანმსვლეტი განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

